ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2022 წლის 5 აპრილი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების სახეების და განაკვეთების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების სახეების და განაკვეთების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/04/2015 210200010.35.137.016170) კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დასუფთავების მოსაკრებელი არ დაერიცხება იმ ოჯახებს, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლებია.“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ადიგენის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გასაწევი მომსახურების გადასახადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ობიექტების მიხედვით შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (ლარებში)	შენიშვნა
1	ბიბლიოთეკები	სამუშაო ფართობი კვ.მ	0,05	100მ2 5 ლარი
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	სამუშაო ფართობი 1 კვ.მ	0,20	100მ2 20 ლარი
3	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,15	100 სავარძ. 15 ლარი
4	სკოლები, ინტერნატები, კოლეჯები, ბაგა-ბაღები (საგანმანათლებლო დაწესებულებები)	ერთ მოსწავლეზე	0,05	100 მოსწ.

				5 ლარი
5	სასტუმროები	ერთი საწოლი	1.00	100 საწოლზე 100 ლარი
6	საავადმყოფოები	ერთი საწოლი	0.30	100 საწოლზე 30 ლარი
7	პოლიკლინიკები, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები	სამუშაო ფართობის 1 კვ.მ	0.20	100მ2 20 ლარი
8	აფთიაქები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.20	100მ2 20 ლარი
9	დახურული ტიპის სპორტული დარბაზები	საერთო ფართობი 1 კვ.მ	0.10	100მ2 10 ლარი
10	სასურსათო და სხვა დასახელების მარკეტები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.10	100მ2 10 ლარი
11	აგრარული ბაზრები	სამუშაო ფართობი 1 კვ.მ	0.20	100მ2 20 ლარი
12	ბენზინგასამართი სადგურები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.15	100მ2 15 ლარი
13	აბანოები, საუნები	საერთო ფართობი 1 კვ.მ	0.10	100მ2 10 ლარი
14	სადალაქოები, სილამაზის სალონები	სამუშაო ფართობი 1 კვ.მ	0.30	100მ2 30 ლარი
15	რესტორანები ,,კაფე-ბარები“, სასადილოები სწრაფი კვების ობიექტები.	საერთო ფართობი 1კვ.მ	0.05	100მ2 5 ლარი
				100მ2

16	ავტო სადგურები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.10	10 ლარი
17	ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	1 კვ.მ	0,01	100მ2 1 ლარი
18	ავტოტექმომსახურეობის სადგურები, ავტო სახელოსნოები, ავტოსამრეცხაოები.	სამუშაო ფართობი 1 კვ	მ 0.10	100მ2 10 ლარი
19	მშენებარე ობიექტები	საერთო ფართის 1კვ	.0მ.15	100მ2 15 ლარი
				2
20	შენებარე ობიექტები საკურორტო ზონაში	ფართის 1 კვადრატულ მეტრზე	1.00	100მ 100 ლარი
21	საბითუმო საწყობები, მაცივარები, ბაზები.	საერთო ფართი 1 კვ.	მ0.10	100მ2 10 ლარი
22	საბანკეტო დარბაზები	საერთო ფართის 1 კვ.მ	0.05	100მ2 5 ლარი
23	სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრის და სხვა სახელოსნოები.	სამუშაო ფართის 1 კვადრატულ მეტრზე	0.10	100მ2 10 ლარი
24	პურის საცხობები, ფურნეები, ნამცხვრის საცხობები და საკონდიტრო საწარმოები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.20	100მ2 20 ლარი
25	სანატორიუმები, სამკურნალო ტიპის დასასვნებელი დაწესებულებები.	ერთ საწოლზე	1.50	100 საწოლზე 150 ლარი
26	სხვადასხვა დაწესებულებები	სამუშაო ფართის 1 კვ.მ	0.20	100მ2 20 ლარი

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**